

# სახალხო ბაზუმი

საქართველო

ბაზუმი № 943

ლაშაბის № 166

კვირა, 14 ივლისი 1913 წ.

## ილუმინაციის წინააღმდეგ

მეგობართაგან

(დასასრული \*)

წინააღმდეგ ვუმტკიცებდი,  
 არ დამითმო გოგინ რაკი—  
 განხაურდა ჩვენი სიტყვა  
 და გამწვავდა ლაპარაკი.  
 შემდეგ ჩხუბიც მოგვივიდა  
 და დავშორდით უძძობები;  
 არ მინახავს ხუთ წელიწადს  
 არ მსმენია მასზე ხმები.  
 უწინ იყო და უყვარდა  
 მას ცხოვრება ილუმინაცი;  
 ახლა სულ მთლად მიეფარა,  
 ველარ მოვკარ ვერსად თვალთ  
 ვინ იცის, გულ-ჩათხრობილი  
 მარტო ობლად იარება,  
 იმ ქვეყნიურ არსებობისთვის  
 გული მისი იარება,  
 უმძრახობა ღრმად მტანჯავდა,  
 დავაპირე შერიგება.  
 მსურდა მასთან ახლოს ყოფნა,  
 განმეახლა ჩვენი კვანთი;  
 საით ვაპქრა, ვერ გავიგე  
 მისი ბინა, მისამართი.

ერთ დღეს ავდექ დილით ადრე,  
 ბაღჩას ჩავეღ, ჩავიარე;  
 როუსვენრად თავსა ვგრძნობდი,  
 მაწუხებდა ფიქრი მწარე;  
 გავიხსენე მეგობარი,  
 გულში თითქოს გავიზარე.  
 ვსთქვი თუ იგი ავად არის,  
 ან თუ ჰპოვა მან სამარე.  
 ნუ თუ აზრსა ესრეთ გვარსა  
 წინადგრძნობით დავეყარე?  
 თუმც ვსცდილობდი განმეფანტნა,  
 მაგრამ უკუ ვერა ვყარე.  
 ვერ გავჩერდი ხივიანში,  
 კვლავ სახლისკენ ავეჩქარე.

მოველ დანხვდა მუნ წერილი,  
 ჩემთან გოგის მოეწერა;  
 გაგშტერდი და გამიკვირდა,  
 გადავაგლე ჩემი მხერა.  
 რა მამცნობდა თავის ბინას,  
 კალმით შავად დაეწერა.  
 „ძმაო ლევან! სიკვდილს ვებრძვი  
 და მოგკვდები დღეს ან ხვალე  
 ამ საწუთროს დაგშორდები,  
 გამოსწიე ჩემკენ მალე.  
 მსურს გიხილო ერთხელ კიდევ,  
 ძმაო, ჩემთვის მოიცალე.“

მივაშურე მატარებელს,  
 ჩავჯექ შოგან, განვემზავრე;  
 დღის სავალი მქონდა ერთის,  
 სივდა გულს ვერ განვიქავრე.  
 მეორე დღეს მიველ, სადაც  
 გოგი იწვა ავადმყოფი;  
 რა დავხედე, ელდა მცა,  
 უფრო მეტად ვიგრძენ წყლული:

გულში მკრესო თითქოს თოჯი.  
 მომაკვდავსა თავზედ ედგა  
 გოგის ერთი დედაბერი.  
 მეგობარმა ძლივსდა მიცნო,  
 წაუვიდა უფრო ფერი.  
 „გვკვდები, ლევან!“ ასე მითხრა.  
 ვანუგეშე, მოველოლე  
 და თვის ვგრძნობდი, რომ საბრალო  
 დამტოვებდა იგი მალე.  
 მომაწოდა თვისი ხელი  
 როგორც ძვალი ჩამომხმარი  
 დამაცქერდა და ნაწყვეტად  
 ხმა მამცნობდა სუსტი, წყნარი:  
 სიკვდილია საფეხური,  
 სხვა ცხოვრების მიმბარე,  
 ვით ჰგონია მრავალ ჩვენგანს,  
 არა ეგრე შესაზარი.  
 მე მას ვხედავ მშვენიერსა,  
 ახლოვდება მოლიმარი.  
 იგი არის დასაწყისი  
 ზეკვეყნიურ არსებობის;  
 შემეერთი უკვდავების—  
 ამ რხილავ ნათელ გრძნობის.  
 აგერ, აგერ... იგი სოდის...  
 შვება მოაქვს, დიდი შვება...  
 სახე მისი ბრწყინვალეა  
 ძლიერია მისი ნება.  
 მეუბნება: ჩემთან ჰპოვო  
 დადლილმით მოსვენება!  
 რა კარგია, მყუდრო, ჩემი...  
 ნუ ახსენებთ მას კვლავ გომობით:  
 ბევრის თქმა მსურს... წერილს ჰნახავ...  
 კვლავ შევხვდებით... აწ მშვიდობით!...“  
 სთქვა ხრიალით, სარეცელზე  
 გადაეშვა მოწყვეტილი  
 და დახუჭა თვისი თვალი,  
 დაუღუძდა ენა ტკბილი.  
 ვიდექ მის წინ თავდახრილი  
 და მღუმარე ვით ქვად ქმნილი,  
 გულში გრძნობა ქვითინებდა  
 და დავღვარე სრემლი თბილი.  
 ვფიქრობდი თუ ქვეყნად ცოცხლობს  
 წამიერად მიწის შვილი.  
 თვალს გავახელოთ, გვერდში გვიდგა:  
 ტანჯვა, ზრუნვა და სიკვდილი.  
 მართლაც რა ეს ცხოვრება,  
 ქრება, მიდის როგორც ჩრდილი.  
 კუბოში რომ ჩავახვენეთ  
 საღამო ხანს მეგობარი,  
 ზედ სუდარაც გადავფარეთ,  
 ჩვეულება როგორც არი.  
 კვლავ დავუდგით თავს და ბოლოს  
 ორი დიდი კელაპტარი.  
 შემოვიდა მედავითნე  
 და დიწყო კითხვა წყნარი.  
 ვიდექ გვერდით ხელ-დაკრეფით  
 ჩათხრობილი, გულ-დამწვარი  
 დედაბერი მომეახლა,  
 ხელში ეპყრა მას უსტარ,  
 სთქვა: ეს თქვენთვის გარდმომეცა,  
 იყო გოგის სათხოვარი.  
 გავხსენ იგი, წავიკითხე,  
 უფრო მეტად ვიგრძენ წყლული:

ჩვენც ცოცხალს ვერ მომისწრა,  
 ჩემში აღდგა რწმენა სრული,  
 რომ სიკვდილის შემდეგ ჰგებებს  
 და არსებობს თვისით სული.  
 აღვიარებ უკვდავია!  
 დაგიმტკიცო მე ვეცდები.  
 ნიშნის მოგცემ, ან ხმას გაგცემ,  
 ან აჩრდილად გამოვჩნდები;  
 ეს ჩემს აღთქმად იგულისხმე  
 ვითმე გამოგეცხადები.“  
 წავიკითხე და დავკეცე,  
 ჯიბეშიგან შევიღახე  
 და ჩამოვჯექ კუბოს გვერდით,  
 ჩავიმალე ჩემი სახე.  
 ჩემს გვერდით კი დედაბერი  
 იყო მწარედ მოვავლახე.  
 იტყოდა თუ: „შვილო, შვილო!  
 მე ვიცოცხლო, შენ კი არა!  
 ახალგაზდა მოსწყედი სოფელს,  
 ბედმა ვით არ შეგიწყნარა.  
 შენ მაგიერ რად არ მოგკვდი,  
 მიწა რად არ გამეთხარა.  
 აგერ, შვილო, რო ჰნატრობდი,  
 შენთან არის შენი ტოლი,  
 შვილო, ახსენ შენი ბაგე,  
 გააღიმე კბილი ბროლი.  
 შვილო ჩემო, მაგ ნორჩ გულზე  
 მიწა უნდა დაგეყაროს?  
 ვაი ჩემს თავს, ამის მომსწრეს...  
 მეც სუდარა გადმეფაროს!...“  
 და დაღუძდა დედაბერი,  
 გულში მწარედ ხელს იცემდა;  
 მოკუმშული ღრმა თვალთაგან  
 ჩუმად სრემლსა მოაფრქვევდა.  
 მე კი ღელვით კუბოს ვმზერდი,  
 გულს მღადრიდა შიგნით სევდა.  
 წარმოთქმული ჩვენი ტანჯვა  
 გარდქვივა ჩვენსავ შვებად—  
 ამას მე ვერ ვახერხებდი,  
 ალი იყო ჩემში გზნება.  
 შულამე გადავიდა.  
 დავრჩი მარტო ფიქრგართული;  
 მკვდრის ღუმილი ვინ არ იგრძნოს,  
 გარს რომ მქონდა შემორტყმული.  
 კვლავ წერილი გარდვიკითხე  
 სადა, არა დახლართული.  
 ვსთქვი ჩემს გულში ნაღვლიანმა:  
 ეს რომ მართლა ახდებოდეს!  
 სად ყოფილა მაგალითი  
 სული გამოგეცხადებოდეს?!  
 საწყალ გოგის რა ღრმად სწამდა  
 რომე ცოცხლობს მარად სული;  
 მაგრამ, ვაგლახ! აქ ვშობილვართ  
 და აქვე გვაქვს დასასრული.  
 მზის სხივებზე ერთის წამით  
 ყვავილივით გარდვიშლებით.  
 და რა გავშლით გრძნობის ფურცლებს  
 სამუდამოდ უმალ ვსქქნებით.  
 ვიმალებით—ვიტანჯებით,  
 რამეს ველტვით—ვიტანჯებით,  
 გვიყვარს ვინმე—ვიტანჯებით,

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 165.

# სრულიად რუსეთის ბუნების-



კრების პრეზიდიუმი. ტფ. სახაზინო თეატრის სცენაზე სექციების საერთო სხდომის დროს.

ვკვდებით—მაინც ვიტანჯებით.  
 ასე მივალთ! და სად მივალთ?  
 რად ვიშობეთ, ან რად ვკვდებით!  
 ნეტა იმას, ვისაც რწმენა  
 იმ ქვეყნისა ასულდგმულებს;  
 იგი მაინც თავს იტყუებს  
 და იყუჩებს ამით წყლულებს,  
 ეხ, სადღაა, მეგობარო,  
 შენი აზრი და გონება?  
 ვიდრე ვცოცხლობ, შენი მქონდეს  
 მარტოოდენ მოგონება,  
 როს მოგვკვდები, ეს მცირედიც  
 ჩემთან ერთად აღიფხვრება.  
 და აქ სული რაღას აქნევს,  
 თუ კი ჩვენთან იგიც კვდება.  
 რჩეულთ თავი რითი მოაქვთ?  
 რაა მათი უკვდავება?  
 ნუ თუ ის რომ შევიცანით  
 და ვუძღვინით სოფლად ქება?  
 ჩვენში ძეგლი აიშენეს  
 და მით ჰპოვეს უკვდავება?  
 მაგრამ ჩვენ თუ დავიხოცნეთ,  
 ან მოისპოს მთლად ცხოვრება,  
 სად ვინლა სთქვას, ვინ ახსენოს  
 მარადობა, უკვდავება?  
 ქეშმარიტად ყველა მიდის...  
 ქეშმარიტად ყველა ჰქრება.  
 მაგრამ ვიდრე ქვეყნად ვცოცხლობთ  
 ასე უნდა გვქონდეს მცნება,  
 რომ ცხოვრებით ვისარგებლოთ,  
 წინ გვიძლოდეს გამარჯვება.  
 შვილიშვილი უზრუნველყვით,  
 ავუყვავით მას დიდება;  
 ძალა ჩვენი მოვიკრიფოთ...  
 ასე უთქვავს მგოსანს ქება!  
 ესთქვი, სუღარას გადავხედე,  
 კელაპტარი კვლავ იწვოდა,  
 შეუცნობელ გრძობებისგან  
 გული ჩემი ესრე თრთოდა.  
 იქვე ახლოს საათისა  
 რაკარუკი მომესმოდა  
 და მამცნობდა: ყოველ წუთით  
 ამ ცხოვრებას ვშორდებოდი.  
 ყოველ წუთით შეუმჩნევლად  
 სიკვდილს ვუახლოვდებოდი.  
 ვიგრძენ გულში მე სიცივე,  
 ჟრუანტელმა დამიარა,

გამიარჯლა უფრო მეტად  
 წყლული ჩემი და იარა.  
 ნეტავ ამ დროს ჩემს მეგობარს  
 ჩემთვის კიდევ ხმა გაეცა,  
 მწყურდა მასთან ლაპარაკი  
 რომ ნუგეში ვითმე ეცა.  
 მაგრამ, ვაგლახ, იგი სდუმდა,  
 ვით უსაზღვრო მადლა ზეცა;  
 ეს დუმილი შიშსა მგვრიდა  
 ვგრძნობდი, მუხლი ჩამეკეცა.  
 კვლავ ჩამოვჯექ და ვფიქრობდი  
 რომ სიკვდილი მხედება შეცა,  
 მაგრამ როგორ შეიძლება  
 ჩემში ის არ არსებობდეს,  
 რაც მარად ჟამს უკვდავია,  
 კვლავ ცხოვრებას განაგრძობდეს?  
 მაშ პლატონი ტყუილს ამბობს,  
 ტყუილადვე ასე ბჭობდეს:  
 „წინ სხეულსა სული უსწრობს  
 და სამყაროს სულა—სოფელს;  
 ეს ღმერთია, რაც ყველაფერს  
 თვის სულს აძლევს ჩაუქრობელს.“  
 ეს—ნუმენი—არა, არა!  
 თუ ეს გვჯერა დიდად ვსცდებით!  
 ტვინი არის ერთად ერთი  
 თვისის ნაზის უჯრედებით;  
 როგორადაც გოგი მოკვდა,  
 ეგრე ყველა ვკვდებით, ვკვდებით!  
 უცბად შევკრთი. ავიხედე.  
 შემრცხვა ჩემის მეგობრისა.  
 აზრად ესთქვი თუ, ჩემს ლაპარაკს  
 ყურს უგდებდეს ეგებ ისა.  
 რას ვსულელობ? რაებს ვამბობ?  
 ყურის გდება, ისიც მკვდრისა?!  
 სუნთქვა ჩემი შემიჩერდა,  
 ჩემთან ბრძოლით გავიწამე;  
 შორს მამლგებმა დაიცივოვს,  
 გრძელდებოდა ბნელი ღამე.  
 მსურდა ფიქრი სხვა რამეზე  
 გარდმეტანა, გარდამელო,  
 რომ საშინელ აზრებისთვის  
 ბოლო ვითმე მე მომელო,  
 ვეცადე და ეს ვერ შევძელ,  
 ფიქრი ერთზე ჩერდებოდა:  
 მარად სული, ისევ სული,  
 და კვლავ ასე გრძელდებოდა.  
 ეხ, საწყალი ჩემი გოგი,  
 წერილითაც რომ მპირდება:


„სული ჩემი, ძმაო ლეფან,  
 როსმე გამოგეცხადება“  
 როგორ უნდა გამოცხადდეს?  
 ტყუილია! არ იქმნება!  
 ჩუ! რა მოხდა? სიდან იყო?  
 სით მომესმა ეს შრიალი?  
 ვითომ რაო? მართლა ახდეს?  
 სულმა თვისი მამცნოს ძალი?  
 ჰამლგებმა თუ მამა ნახა,  
 ან მაკბეტმა ბანქო გმირი,  
 ვითომ გოგი მეცა ვნახო  
 და ასრულდეს დანაპირი?  
 ეს მგოსნების ოცნებაა!  
 არა მრწამს-რა! ჩუ! რას ვყვირი!  
 ჩემი ხმა რომ სხვამ გაიგოს,  
 გაგიჟდაო ეგონება.  
 მე რა უნდა მომეზმანოს  
 ოდეს მახლავს თან გონება?  
 მაგრამ ჩემს თავს ერთი(ც) ვკითხო,  
 სიდან იყო ეს შრიალი?  
 ყველაფერი დახშულია,  
 არც ქარი ჰქრის დაუმცხრალი.  
 ესთქვი და კუბოს გადავხედე,  
 დავაკეცრდი უნებურად;  
 ვნახე, ცხედარს რომ სუღარა  
 არ ეფარა ძველებურად.  
 თითქოს ხელი აიწია  
 და შეტოკდა ზედაპირი.  
 თვალზე ხელი გადავისვი,  
 ახლოს მისვლა დავაპირე,  
 ვერ ვბედავდი. შიში უფრო  
 ამიტანდის მეტის-მეტად,  
 თან ჩემს თავზე ვიცინოდი  
 ხომ არ ვიქმენ-მეთქი რეტად?!  
 სავარძელზე რომ ჩამოვჯექ,  
 გარდავიქეც მახვილ ქვრეტად.  
 ესთქვი თუ: ალბად დედაბერმა  
 ვერ დაუწყო გულზე ხელი...  
 ეგებ დაბლა ჩაუცურდა—  
 აქ რა არის აუხსნელი?  
 ჩემს თავს ასე ვუმტკიცებდი,  
 მსურდა ახდა სუღარისა,  
 რომ თვით თვალით დამენახა  
 გულზე მწყობნი ხელნი მკვდრისა,  
 მაგრამ შიში შემიპყრობდა—  
 შიში? როგორ? შიში, რისა?  
 ლაპარაკი საიდუმლო  
 გავიხსენე დიდის ხნისა;  
 ვითომ სული არსებობდეს—

# მეტეველთა და ექიმთა მე-XIII კრება



საპედაგოგო სექციის სხდომა ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში.

გავლენაა მგობრისა...  
 მაგრამ ჩემს თავს თუ მკვიდრად ვგრძნობ,  
 არცა მჯერა არათურისა;  
 მაშ რაღად მაქვს მოლოდინი?...  
 მოლოდინი აჩრდილისა?...  
 ამოვიღე კვლავ წერილი,  
 ხელში ვსრესდი, ვაბრუნებდი.  
 და ზებირად შინაარსსა  
 აზრში ბუნდად ვაცურებდი.  
 რაო? მოგცემ ნიშანსაო?  
 ამ სუღარის შეტოვება,  
 ან შრიალი იღუმალი...  
 ნერვებ აშლილს მელანდება!  
 მაგრამ ჩემს თავს რომ კარგად ვგრძნობ,  
 თანვე მახლავს ჩემი ნება?  
 ასე ვსთქვი და ვავიგონე  
 რომ ფანჯარა დარახუნდა.  
 ბიჭოს?! ნუ თუ? ეს რა მომდის,  
 გული რაზე შემობრუნდა?  
 ალბად ვისმეს კენჭის სროლით  
 დაძახება ჩემი უნდა.  
 ან და ქარმა დაუბერა—  
 მაშ აქ სხვა რა მოჰხდებოდა?  
 ჩემი აზრი ჩემსავ გრძნობას  
 ასე გვარად შეებრძოდა.  
 რომ რაკუნთ ხელმეორედ  
 და გარკვევით გავიგონე,  
 ავცახცახდი. რაზედ ვშიშობ?  
 რად დავკარგე ჩემი ღონე?  
 თუ ვიხილავ, — ჩემს მეგობარს!  
 მაგრამ როგორ დავიჯერო?  
 ჩემი თავი მეუბნება:  
 გამოეგე გონსა, შტერო!  
 და კიდევ რომ რამე მოხდეს,  
 ვოგიმ მომცეს სხვა ნიშანი?  
 სწორედ ჰქვაზე შევიშლები,  
 დახე, ყალყზე მიდგა თმანი!  
 აი თუნდ რომ ის სანთელი...—  
 ვსთქვი და... ჩქარა კელაპტარი;  
 მას ვიღამაც შეუბერა,  
 ეს არ იყო, ვაცი, ქარი;  
 უფრო მეტად ავცახცახდი,  
 გულის ცემა შექმნა ჩქარი.  
 წამოვიჭერ, გამოვვარდი,  
 მოვიხურე მაგრა კარი  
 და მეორე ვრცელ ოთახში



სექციის შემერთებული სხდომა ტფ. სახაზინო თეატრში.

ხანსა ვიყავ ფეხზე მდგარი.  
 მე იმ ჟამად ვანვიზრახე  
 დაძახება დედაბრისა.  
 და რა მეთქვა? ის, რომ ვაქვაცს  
 შემეშინდა ღამე მკვდრისა?  
 ის, რომ რაღაც მომელანდა?  
 შერე ის ხომ დაიჯერებს?  
 და ხმას მოჰყენს ცრუ რწმენისას,  
 უფრო მეტად გასაშტერებს!  
 და დავემხე პირქვე ტახტზე,  
 სახე მკლავში ჩავიმაღე;  
 ხანი დავყავ ასე რიგიდ,  
 თვით ჩემს თავსა დავეძალე,  
 ვსთქვი თუ, ჩემი აღარ მჯერა,  
 სწორედ ჰქვაზე შევიშაღე!  
 მეცნიერებს თუ ვერწმუნეთ,  
 ესეთი რამ არ მოჰხდება;  
 მაგრამ ეს თუ მართლა მოჰხდა,  
 ხომ დაიმსხვრა მათი მცნება?  
 მართლა სული უკვდავია?  
 კიდევ არის სხვა ცხოვრება?

მაგრამ ჩემი ინტელექტი,  
 ჩემი ტვინი და შეგნება,  
 წინააღმდეგს რომ მიმტკიცებს,  
 სულ სხვა რამეს მეუბნება?  
 არა! არა! ზმანება!  
 ო, გათენდეს ნეტა მალე!  
 დიან, დიან, მომელანდა,  
 რა გრძნობებით ავიშაღე.  
 სული აქ რა შუაშია,  
 არ არსებობს, ტვინთან კვდება;  
 „ქეშმარიტად, ყველა მიდის!  
 ქეშმარიტად, ყველა ჰქრება!“  
 ასე ჩემთვის ვსაუბრობდი  
 და არ ვიცი, ჩამეძინა,  
 თუ კვლავ ვიყავ მე ფხიზელი,  
 ისე მოჰხდა ჩემს თვალწინა:  
 ჯერ ფეხის ხმა გავიგონე,  
 სად ესევნა გოგი მკვდარი,  
 აქრაქუნდა იატაკი,  
 გამოიღო შემდეგ კარი  
 და გამოჩნდა ვით აჩრდილი,

და გამოჩნდა მეგობარი.  
 შევიკვლე და შევიძახე  
 და ჩემს ხმაზე მოველ გონსა;  
 სუნთქვას ძლივს ვიბრუნებდი  
 და გულს ღელვით შენაღონსა.  
 ვით შეშლილმა გაკვირვებით  
 გადავაღვლე თვალი კარსა;  
 მე დავხურე. ღია იყო.  
 კვლავ დავხედე კელაპტარსა,  
 ისიც მართლა ჩამქარალიყო,  
 ერთს კი ვსტყვრეტდი მთლად დამწვარსა.  
 მივიხედე, მოვიხედე,  
 უკვე გათენებულიყო,

და გიჟივით ვკითხულობდი:  
 ეს რა მოჰხდა, ეს რა იყო?  
 ჩავიხედე სარკეშია,  
 თმა მთლად გათეთრებულიყო.  
 სახე ჩემი, როგორც მკვდრისა,  
 ისე გაფითრებულიყო.  
 შემოგროვდნენ ნათესავნი,  
 გლოვა იყო, დიდი ზარი;  
 მაგრამ ვინც მე შემხედდავდა,  
 მეკითხოდა შენაზარი:  
 — ლევან! ეგ რა დაგმართნია,  
 ენა გეგმის მოუბარი;  
 განა ვის არ მოჰკვდომია

გულის სწორი მეგობარი?! —  
 და მეტყობდნენ სამძიმარსა,  
 ყურს ვუგდებდი განამწარი;  
 ჩემთვის ვსდუმდი. ან რა მეთქვა?  
 განა ვიყავ შეუმცდარი?  
 მეორე დღეს კუბოს უკან  
 რა მივსდევდი გაისრული,  
 თან ვფიქრობდი: ნუ თუ მართლა  
 მეგობრისა იყო სული?!  
 ვერ ვპოვებდი პასუხს ჩემში,  
 მიკვნივსოდა მწარედ გული.

ა. შანშიაშვილი.

# ღცნებას

და აი ეხლა მე სრულებით მარტო ვარ!... მარტოდ მარტო  
 ცხოვრების შეურიგებელი მტერი!.. სულით ობოლი!..  
 თვლით განუზომელ სივრცეზე, სულის შემხუთველ  
 მწირს უდაბნოში მოქანცული დაძრწის საბრალო სული, მაგ-  
 რამ იგი თავის ტოლს ვერ იპოვნის, რადგან იგი შენს სამე-  
 ფოში არის აღზრდილი, მაცდურო, ოცნებავი!..  
 ოხ! რა ტკბილი ხარ! რა მომხიბლავი! რა მაცდური!..  
 რა რიგ მომხიბლავი!.. რა რიგ მომამჯადოვავი! რა გრძნეუ-  
 ლის ძალით დაიმონავე ჩემი არსება, რომ ის შენს სამეფოს  
 გარდა სიამეს ვეღარ სად ჰპოვებს?  
 ან კი რა მაქვს მე საერთო ამ ქვეყანასთან?  
 თვალის გახელასთან ერთად მე შენ დაგინახე, მაცდურო  
 ოცნებავი, და გაქსოვს, როგორ ხარბად გეწაფებოდნენ ბავშვის  
 უგუნური თვალები?  
 გახსოვს ბავშვის უმანკო ღიმილი შენის გიჟმაჟობით გა-  
 მოწვეული?  
 იმ დღიდან შენის მსუბუქი ფრთებით ირწყოდა ჩემი აკვა-  
 ნი!.. შენის მომჯადოებელის ნაწით საზრდოებდა უმანკო სული!..  
 აი მე ასე შენს ტკბილს ნანახე აღვიზარდე!.. ოხ! რა ნე-  
 ტარების ფილას ეწაფებოდა შენგნით მოხიბლული სული, რომ-  
 დესაც იგი შენს ციურ ჰანგზე შეთხზულს, სიტკბოებით სავ-  
 სეს, მომჯადოებელს ხმებს უსმენდა!..  
 მითხარ, სად განქრნენ შენი მაცდური ხმები?  
 მითხარ, რატომ აღარ ატკობენ იგინი ჩემს სმენას?  
 ნახ-ციურ ხმებით აღზრდილი სმენა ვეღარ შეგეუთა ცხოვ-  
 რების მოუხეშავს ხმებს!..  
 ოხ, წყევლო, მიყვარხარ! მიყვარხარ!..  
 მიყვარხარ იმისთვის, რომ არ შემოძლიან არ მიყვარდე!  
 შენ ჩემი მეორე „მე“ ხარ, ურომლისოდაც ჩემი არსებობა წარ-  
 მუდგენელია!.. მაგრამ მძულხარ, მძულხარ იმისთვის, რომ  
 შენ ჩემში შენის გრძნეული ნაწით აღზარდე შენი მონა, რომ-  
 მელსაც მხოლოდ შენ სწამხარ და შენს გარდა ამ ქვეყნად ვი-  
 რავის შეეთვისა! შენ ჩემში აღზარდე მუდამ ეკვიტ მწკრიობი-  
 ლი სული, რომელსაც მხოლოდ შენი სჯერა და სხვას ყველას  
 გაურბის, ყველასი ეშინიან, არავის ენობა... მითხარ, მითხარ,  
 მაცდურო, რომელი ცხოვრებისთვის მამზადდები?  
 სად არის ის აღთქმის ქვეყანა, რომელსაც შენ მე მპირ-  
 დებოდი?  
 მიმიყვანე... ნულარ მტანჯავ... აკარე სულს დაუსრულე-  
 ბელი ძებნა რალაც მიუწლომლისა... შენ მე ამ ცხოვრებას სა-  
 მოთხედ მიხატავდი, სადაც ადამიანს უნდა ეპოვნა მყუდრო  
 ნათეს-სადგური, სადაც სულს უნდა განეცადნა უსაზღვრო ნე-  
 ტარება, მე კი აქ მარტო გოლგოთას ეხედავ ზედ აღმართულის  
 წამების ჯვრით, რომელზედაც განუწყვეტლად ეწამება ადამის  
 ტომი.  
 ხედავ? მეც გოლგოთისკენ მიძივს გზა!..  
 ხედავ? მეც უახლოვდები სისხლით შეღებულ წამების  
 ჯვარს!..  
 ხედავ, ცხოვრებისგან გასრისილს ადამიანთა გვაგებით  
 მოფენილ ცხოვრების უსწორ-მასწორო გზას?  
 მუხლთ მუქეცება... შენს სუბუქ ფრთებით ნავარდს დაჩ-  
 ვეული, როგორ შეგძლევ ცხოვრების უსწორ-მასწორო  
 გზით ხეტიალს... შენგნითა ვანებობებული სული, უშიშრად  
 როგორ მივა წამების ჯვართან?...  
 გახსოვს? შენს სუბუქ ფრთებზე მისვენებული, როგორ  
 ფარვანასავით დავტრიალდებდი ცხოვრების მოკამკამე ზღვის  
 ზედა-პირს, რომელიც ყოველ შენი ფრთის მიკარებაზე საამუ-  
 რად ღელავდა!.. როგორ ყურს ატკობდა მისი ნელი ზვირთე-  
 ბის საამური შრიალი!.. როგორ გამკვირეტი იყო იგი... მოკამ-

კამე... უკანასკნელი ქვიშაც კი სჩანდა მის ძირში... იგი ცხადი-  
 იყო ჩემთვის... მასში დაფარული არა იყო რა... მე მიყვარდა მის  
 ტალღებთან ბასი... მათი ხმაურობა ჩემს სმენას ატკობდა...  
 ისინი მიაზობდნენ მე ცხოვრების დაუსრულებელს ზღაპარს,  
 ისეთივე სიტკბოებით და იმედებით სავსეს, როგორც შენ..  
 მითხარ, სად განქრა ყველა ეს?  
 რად იქცნენ შავად მისი მოკამკამე ზვირთები?  
 ოხ! როგორ მაშინებს მე მისი გულშემზარავი გუგუნე!..  
 როგორ აკრთობს თვალს ცხოვრების ქარ-ცეცხლზე ატეხილი  
 მისი ღელვა!.. ოხ! რა თვლით განუზომელია მისი სიღრმე! რა  
 საიდუმლოებით არის მოცული მისი უფსკრული, რომლის მი-  
 უწლომლობაც ასაკით სტანჯავს საბრალო სულს. ბნელია,  
 ბნელი იგი ჩემთვის!  
 ჩემი მხედველობა სუსტია—განსკვრიტოს მისი სიბნელე,  
 დაინახოს, რა მარხია მის ძირში!..  
 ჩემი ნარნარ ნავარდობას დეჩეული ნავი როგორ შესძ-  
 ლებს მის მრისხანე ტალღებთან ბრძოლას! მითხარ, ხომ არ  
 ელის მას სამარედ ზღვის შავი უფსკრული, თუ წინანდებურად  
 ჰპირდები მას აღთქმის ქვეყანას?  
 შემობრალე, წამიყვა აქედან... აბა მიჩვენე ის დიდებული  
 ტაძარი „სიყვარულისა და თავისუფლებისა“ რომლის ნახვა-  
 საც შენ მპირდებოდი! მე მინდა მის წინ მუხლი მოვიყარო, მე  
 მინდა მის სამსხვერპლოზე მსხვერპლი შევწირო!..  
 „დაფნის გვირგვინი მამულის შვილს“, „თაყვანება ზ სიყვა-  
 რული სამშობლოს კირისუფალს!“—განუწყვეტლად ჩამძახოდა  
 შენი ხმა. მე კი აქ დაფნის გვირგვინის მაგიერ სისხლით შე-  
 დებილი შუბლი ვნახე საუკეთესო მამულის შვილისა და გუ-  
 ლი, რომელიც მარტო მამულისთვის ჰფეთქდა, თვისი ხალხის  
 ხელითვე ტყვეით განგმირული...  
 მითხარ, რომელმა ცხოვრების წუმბემ წარმოშობა ეს  
 ქვეწარმავალი?  
 რომელი დროს ნაყოფნი არიან ეს ბარბაროსნი, რომელთა  
 ხელეშაც გადაუსვლილ ლაქად წარეცხო უმანკო სისხლი?  
 შემობრალე, წამიყვა აქედან... ნუ მიმატოვებ ობლად  
 სიყრმიდან შენთან შეზრდილს მეგობარს, რომელსაც უკანას-  
 კნელი წერტილიც კი თავის სულიერი მოძრაობისა, თავის  
 გრძნობიერი განცდისა შენთვის არ დაუფარავს.  
 ოხ, მაცდურო! მაშ, შენც ადამიანებს ჰგებხარ?..  
 ცრული... მოლალიტი... გაუტანელი?..  
 მაშ, ის ყოველი, რითაც შენ მხიბლავდი შენგნით შეთხზუ-  
 ლი იყო და მის მსგავსს ქვეყნად ვერასა ვპოვებ?  
 აბა, მიჩვენე, სად არის ის ცხოველმყოფელი ტაძარი  
 „სიყვარულისა“, რომლის სხივებიც აზრს აძლევს ადამიანის  
 არსებობას?  
 მიჩვენე ჩემი ღვთაება, მიჩვენე ჩემი კერპი. აღბად ის  
 იქ ასვინია, რადგან მისი მზგავსი მე ქვეყნად ვერ ვპოვე. მე  
 მინდა ჩემი გული მას სამსხვერპლოდ დაუდგა და ზედ ჩემი  
 გრძნობა მსხვერპლოდ შევწირო...  
 „უკვდავია სიყვარული“ „წმინდა“ „უმანკო!“ — ახლაც  
 ყურს ესმის შენი სიტყვები.  
 აქ კი ის წუთიერია, შეგინებულია, წაბილწულია, აქ ის  
 მუდამ სიყალბეზეა აშენებული... მაშ, სად არის „საუკუნო“,  
 „უმანკო“?  
 შემობრალე, წამიყვა იქ, სადაც მწამდა რომ არის „სიყვა-  
 რული“, იქ სადაც ცხოვრება სამოთხედ მებატოდა, იქ, სადაც  
 მწამდა ჩემი ქვეყნის საუკეთესო მომავალი. აქ კი მე ყველას-  
 თვის უცხო ვარ, ცხოვრების შეურიგებელი მტერი.  
 მარტოდ მარტო!  
 სული ობოლი!

სევდია.